თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2613250

ნომერი: AR1404715

თარიღი : 16.05.2016

გაცემის თარიღი : 06.06.2016

გაცნობის თარიღი : 08.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვახტანგ მახალდიანის ქუჩა , N 1ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ლატარია პ/ნ 01008042873
- ჭავჭავაძის 50/52

ორგანიზაცია:
- შპს კოლხი კოდი: 404979886

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 16/05/2016 წლის №AR1404715 განაცხადით მომართა ზაზა ლატარიამ და ამავე სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებით, ქ. თბილისში, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა, №1ა, შ.პ.ს. „კოლხის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.12.12.038.003) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო გეგმებში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, +26.40 ნიშნულის საპროექტო გეგმაზე არასწორადაა მითითებული ბინა N1-ის საცხოვრებელი ფართობი. ასევე, ექსპლიკაციაში ბინების საერთო ფართობი არასწორია, რადგან მითითებულია მხოლოდ ბინის საცხოვრებელი ფართობი საზაფხულო ფართობის გარეშე. წარმოდგენილია საპროექტო გეგმები. განმცხადებლისვე განმარტებით, აღნიშნული შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას არ იწვევს. წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო გეგმებში +4.00, +7.20, +10.40, +13.60, +16.80, +20.00, +23.20, +26.40 ნიშნულების საპროექტო გეგმების ჩანაცვლება განმცხადებლის მიერ 16/05/2016 წლის №AR1404715 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების საპროექტო გეგმებით.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და ვინაიდან, №2060359 ბრძანებით შეთანხმებულ დასახელებული ნიშნულების საპროექტო გეგმებზე ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, ჩაანაცვლის ისინი განმცხადებლის მიერ 16/05/2016 წლის №AR1404715 განაცხადით წარმოდგენილი იმავე ნიშნულების გასწორებული საპროექტო გეგმებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებაში და შეთანხმებული +4.00, +7.20, +10.40, +13.60, +16.80, +20.00, +23.20, +26.40 ნიშნულების საპროექტო გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 16/05/2016 წლის №AR1404715 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული საპროექტო გეგმებით. სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/08/2015 წლის №2060359 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.